

საქართველოს კანონი

„ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონში
ცვლილებების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონში (პარლამენტის უწყებანი, №21-22, გვ.6 29.05.98წ.) შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილებები:

1. მე-13 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. საკრებულოს მიერ დაწესებული სატენდერო მოსაკრებლის განაკვეთი არ უნდა აღემატებოდეს 150 ლარს.“;

2. მე-13 მუხლი ამოღებულ იქნას.

მუხლი 2.

1. ეს კანონი, გარდა ამ კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტისა, ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

2. ამ კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტი ამოქმედდეს 2010 წლის 1 დეკემბრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი